



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2060
21/12/2018

ქალაქი ბათუმი

2060-05-4-201812211145



„სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე მდინარე ჯოჭოსწყლის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ინერტული მასალის ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საჯაროდ გამოცხადებისათვის კომისიის შექმნის შესახებ” ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 14 ივნისის №1180 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის №16732/05 წერილის თანხმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე მდინარე ჯოჭოსწყლის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ინერტული მასალის ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საჯაროდ გამოცხადებისათვის კომისიის შექმნის შესახებ” ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 2018 წლის 14 ივნისის №1180 ბრძანებაში და ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) არჩილ შერვაშიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების განყოფილების უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი.“

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



